ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31261904**
თარიღი: **09/07/2026**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გიგზავნით, სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჯალიის საჯარო სკოლისთვის საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი, პუბლიცისტისა და მეცნიერის ისიდორე მანწკავას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ განკარგულების პროექტსა და სამეურვეო საბჭოს ოქმს, ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

დანართი - 10 (ათი) ფურცელი

პატივისცემით,

გიორგი ხელაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს
ტერიტორიული ორგანო
ქალაქ ლანჩხუთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE AND YOUTH OF GEORGIA
LANCHKHUTI EDUCATIONAL RESOURCE CENTRE

29/06/2026

MES 6 26 0000817467

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს, ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გაცნობებთ, რომ 2026 წლის 29 ივნისს, ლანჩხუთის საგანმანათლებლო რესურსცენტრში შემოვიდა სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჯალიის საჯარო სკოლის დირექტორის, ქალბატონი ხათუნა აფხაზავას #814086 წერილი, რომელიც ეხება სკოლისთვის, ამავე სოფლის მკვიდრის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამოაზრის, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლის, პუბლიცისტისა და მეცნიერის ისიდორე მანწკავას სახელის მინიჭების შესახებ.
სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჯალიის საჯარო სკოლისთვის ისიდორე მანწკავას სახელის მინიჭების შესახებ საკითხი, განხილულ იქნა სკოლის სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოზე.
შესაბამისად გეგზავნებათ საჭირო დოკუმენტაცია საკითხის შემდგომი განხილვისათვის (იხ. საფუძველი და მიბმული ფაილები).

პატივისცემით,

გურიის საგანმანათლებლო რესურსცენტრი / ქალაქ
ლანჩხუთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
რესურსცენტრის უფროსი
ჩიტაძე ნინო

ელექტრონული
მფლობელობა
ელექტრონული

საქართველოს განათლების,
მეცნიერებისა და ახალგაზრდობის
სამინისტრო
სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
სოფელ ხაჯალიის საჯარო სკოლა
ს/კ: 233727839

MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE
AND YOUTH OF GEORGIA
LEPL Lanchkhuti Municipality
Village Khajalia Public School

ლანჩხუთი, სოფელი ხაჯალია
ელექტრონული ფოსტა: khajalia@mes.gov.ge
ტელ: 577 62 42 09

LANCHKHUTI, KHAJALIA
e-mail: khajalia@mes.gov.ge
Tel: 577 62 42 09

29/06/2026

MES 0 26 0000814086

ლანჩხუთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის
უფროსს ქალბატონ ნინო ჩიტაძეს

ქალბატონო ნინო,
გაცნობებთ, რომ სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჯალიის საჯარო სკოლაში შემოვიდა ამავე სკოლის სამეურვეო საბჭოს განცხადება ,სადაც მოთხოვნილი იყო , რომ სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჯალიის საჯარო სკოლას მიენიჭოს ამავე სოფლის მკვიდრის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამოაზრის , საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლის, პუბლიცისტისა და მეცნიერის ისიდორე მანწკავას სახელი.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა სკოლის პედაგოგიური საბჭოსა და სამეურვეო საბჭოს სხდომა,გადაწყდა რომ , სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჯალიის საჯარო სკოლას მიენიჭოს ისიდორე მანწკავას სახელი.
გთხოვთ , გვიშუამდგომლოთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან სკოლისათვის სახელის მინიჭების მიზნით.
(დანართი 7 ფურცლად)

პატივისცემით,

გურიის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
ქალაქ ლანჩხუთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
საჯარო სკოლები
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჯალიის
საჯარო სკოლა
დირექტორი
აფხაზავა ხათუნა

ელექტრონული
მფლობელობა
ელექტრონული

სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჯალიის

საჯარო სკოლის დირექტორს

ქალბატონ ხათუნა აფხაზავას

ამავე სკოლის სამეურვეო საბჭოს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქალბატონო ხათუნა,

სურვილი გვაქვს სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჯალიის საჯარო სკოლას მიენიჭოს ისიდორე მანწკავას სახელი, იგი დაიბადა 1900 წლის 12 მაისს, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ხაჯალიაში.ის იყო ქართველი მეცნიერი და პუბლიცისტი, ამავე დროს ის 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყების დროს იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამოაზრე და თანამებრძოლი, აჯანყების მარცხის შემდეგ მან დატოვა სამშობლო, გადავიდა თურქეთში, შემდეგ საფრანგეთში, იგი გარდაიცვალა 1944 წელს შვეიცარიაში . წლების შემდეგ მისი ნეშტი მეგობრებმა პარიზში ლევილის ქართულ სასაფლაოზე გადაასვენეს.

მისი ნაშრომები ეხება მე-20 საუკუნის ახალი ქართული მხატვრული პროზის განვითარებას.მისი პირველი დიდი გამოკვლევა 1936 წელს გამოქვეყნდა პარიზში- „ქართული აზროვნების განვითარება მე-19 საუკუნეში“ 1939 წელს ისიდორე მანწკავამ პარიზში დაასრულა თავისი მეორე ორიგინალური ნაშრომი- კულტურის გზები:“ოქროს ხანა“რომელიც 1944 წელს უნდა გამოსულიყო,წიგნი ასწობილი და დასაბეჭდად მზად ყოფილა, როცა ერთ- ერთი დაბომბვის დროს სტამბა დანგრეულა და დამწვარა.გადარჩენილა მხოლოდ ანაბეჭდი,რომლის მიხვედვით ეს ნაშრომი ავტორის გარდაცვალებიდან თითქმის 20 წლის შემდეგ 1962 წელს გამოვიდა პარიზში უცვლელი სახით. ასევე მას ეკუთვნის წერილი- „ილია ჭავჭავაძე“ რომელშიც მოცემულია ქართული ენის დაცვისა და სიწმინდისთვის ბრძოლის, ეროვნული თვითშეგნების და თვითმყოფადობის მოპოვების ილიასეული აზრის შეფასება. მეორე მსოფლიო ომის წლებში ისიდორე მანწკავა ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა პარიზელ ქართველ ახალგაზრდებს და ქართული სიტყვის სიყვარულს შთააგონებდა. აქტიურად თანამშრომლობდა ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთებდან.1940- იან წლეებში ბერლინში „ქართველ ერში“ გამოქვეყნდა მისი წერილები :“ ვაჟა ფშაველა,“ „ დიდი სტილის ამბები „,“გიორგი წერეთელი“, „ საბჭოთა რეჟიმის რაობა’ და სხვა .ქართული ემიგრაციის მძიმე პირობებში ცხოვრებამ მას

საშუალება არ მისცა სრულად გამოემჟღავნებინა თავისი ნიჭი და შესაძლებლობები,მაგრამ რაც დარჩა იქედანაც ჩანს თუ რა საინტერესო კვალი დატოვა მან 1930-40 - იან წლების ქართულ მეცნიერულ აზროვნების ისტორიაში. მის ნაწერებში ჩამოყალიბებული აზრები გამოირჩევა ორიგინალური , თამამი და ინდივიდუალური ხედვით. მისი ღვაწლის უკვდავსაყოფად სურვილი გვაქვს, ხაჯალიის საჯარო სკოლას მიენიჭოს ისიდორე მანწკავას სახელი.

სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე: ე. ჩხარტიშვილი / ეკა ჩხარტიშვილი/

მდივანი: ს. ჭანტურია / სოფიკო ჭანტურია/

წევრები: ს. გურგენაძე /სალომე გურგენაძე/

ი. კალანდარიშვილი / ირაკლი კალანდარიშვილი/

ნ. წიქარიშვილი /ნათია წიქარიშვილი/

ხ. გოგიბერიძე / ხათუნა გოგიბერიძე/

ქ. ტუღუში / ქეთევან ტუღუში/

თარიღი: 26.06.2026

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №
2026 წლის ივლისი
ქ. ლანჩხუთი

სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჯალიის საჯარო სკოლისთვის საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი, პუბლიცისტისა და მეცნიერის ისიდორე მანწკავას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და „საჯარო სკოლისთვის სახელის მინიჭების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანების მეორე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და მე-4[1] მუხლის ბ“ქვეპუნქტის შესაბამისად

მუხლი 1. გაიცეს თანხმობა სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჯალიის საჯარო სკოლისთვის საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი, პუბლიცისტისა და მეცნიერის ისიდორე მანწკავას სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

მუხლი 2. საბოლოოს გადაწყვეტილების მიღების მიზნით, განკარგულება გადაეგზავნოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრს.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ბესიკ ტაბიძე**

სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ -ხაჯალიის საჯარო სკოლის

პედაგოგიური საბჭოს სხდომის

ოქმი N-6

ლანჩხუთი, სოფელი ხაჯალია 29 ივნისი 2026 წელი

სხდომა დაიწყო: 11.00 სთ

სხდომა დამთავრდა: 12.00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ხათუნა აფხაზავა - დირექტორი;
2. ხათუნა კვერენჩხილაძე - მოადგილე,პედსაბჭოს თავმჯდომარე;
3. თამარ ნიკოლაიშვილი- მასწავლებელი
4. თამარ ცეცხლაძე- /მასწავლებელი/;
5. სალომე გურგენაძე- /მასწავლებელი/;
6. ნათია აფხაზავა- [მასწავლებელი/;
7. აკაკი თავდგირიძე- /მასწავლებელი/;
8. მაია ხოფერია -/მასწავლებელი/
9 თამარ ორმოცაძე- მასწავლებელი/- მდივანი
10. ქეთევან კვაჭაძე- /მასწავლებელი/;
11. ნაირა ჩხარტიშვილი- /მასწავლებელი/;
12. ზაური გოგიტიძე- /მასწავლებელი/;
13. რუსუდან აფხაზავა- /მასწავლებელი/;
14. მაკა ახვლედიანი- /მასწავლებელი/;
15. ამირან აფხაზავა- /მასწავლებელი/;
16. ეკა ჩხარტიშვილი- /მასწავლებელი/;
17. მარიკა იმნაძე -/მასწავლებელი/;
18. ირაკლი კალანდარიშვილი -/მასწავლებელი/;
19. ზაალ თუთბერიძე -/მასწავლებელი/;

20. ონისე აფხაზავა -/მასწავლებელი/;

21. მზია კომახიძე -/მასწავლებელი/;;

22. ვლადიმერ აფხაზავა -/მასწავლებელი/

23. ნანა რამიშვილი -/მასწავლებელი/

24. ქრისტინე მჟავია- /მასწავლებელი/

სხდომას უძღვებოდა ხათუნა კვერენხილაძე პედსაბჭოს თავმჯდომარე.სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1. სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჯალიის საჯარო სკოლისთვის ისიდორე მაწწკავას სახელის მინიჭება

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგს.

კენწჭისყრის შედეგები:

მომხრე: -24

წინააღმდეგი: -0

თავი შეიკავა: -0

დაადგინეს:

დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით და დღევანდელ სხდომაზე განხილულ იქნეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

2. N1 საკითხი: სსიპ ლანჩხუთის მუწიციპალიტეტის სოფელ ხაჯალიის საჯარო სკოლისთვის ისიდორე მანწკავას სახელის მინიჭება

მომხსენებელი: ხათუნა აფახაზავა- სკოლის დირექტორი

მოისმინეს: სკოლის დირექტორმა ხათუნა აფახაზავამ პედაგოგიურ საბჭოს მოახსენა, რომ ჩვენი სკოლის სამეურვეო საბჭომ სკოლას მიმართა განცხადებით სადაც ითხოვს სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჯალიის საჯარო სკოლას მიენიჭოს ამავე სოფლის მკვიდრის , ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამოაზრის , საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი, პუბლიცისტისა და მეცნიერის ისიდორე მანწკავას სახელი, რომელიც დაკრძალულია პარიზში „ლევილში.

აზრი გამოთქვეს: აკაკი თავდგირიძემ და ნაირა ჩხარტიშვილმა, აღნიშნეს რომ ისიდორე მანწკავას ღვაწლი და პატრიოტიზმი მისაბაძი იქნება ჩვენი სოფლის მომავალი თაობისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ პედაგოგიური საბჭოს წევრებს მოუწოდა კენჭი ეყარათ აღნიშნული საკითხისათვის.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: -24

წიწააღმდეგი: -0

თავი შეიკავა: -0

დაადგინეს:

1.სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჯალიის საჯარო სკოლას მიეწიჭოს ისიდორე მანწკავას სახელი

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით პედაგოგიურ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე: ხ. კვერენჩხილაძე / ხ. კვერენჩხილაძე/

პედაგოგიური საბჭოს მდივანი: თ. ორმოცაძე | თ ორმოცაძე//

სსიპ –ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჯალიის საჯარო სკოლის

სამეურვეო საბჭოს სხდომის

ოქმი N 6

ლანჩხუთი, სოფელი ხაჯალია 26.06.2026.

სხდომის დაწყების დრო: 13 : 00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 14 : 00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

ეკა ჩხარტიშვილი - სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე

სოფიკო ჭანტურია -სამეურვეო საბჭოს წევრი- მშობელი-მდივანი

ხათუნა გოგიბერიძე - მშობელი

ნათია წიქარიშვილი - მშობელი,

სალომე გურგენაძე - მასწავლებელი

ირაკლი კალანდარიშვილი- მასწავლებელი

ქეთევან ტუღუში-მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე

სხდომა გახსნა სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ ეკა ჩხარტიშვილმა, დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგი და მიმართა ხომ არ სურდათ დღის წესრიგში რაიმე საკითხის დამატება.

დღის წესრიგი:

1. სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჯალიის საჯარო სკოლისთვის ისიდორე მანწკავას სახელის მინიჭების შესახებ

კენჭი ეყარა წინადადებას დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

მომხრე -7

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

აზრი გამოთქვეს:

ნათია წიქარიშვილმა აღნიშნა ,რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რამდენიმე სკოლას მიეწიჭა მისი სოფლის გამორჩეული და ღირსეული ადამიანების სახელი და სასურველია ამ სკოლების რიგს მიემატოს ხაჯალიის საჯარო სკოლაც.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -7

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჯალიის საჯარო სკოლას მიენიჭოს ისიდორე მანწკავს სახელი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე: ე. ჩხარტიშვილი / ეკა ჩხარტიშვილი/

სამეურვე საბჭოს მდივანი: ს. ჯანტურია / სოფიკო ჯანტურია/